ტფილისი

№ 111
მაისის 25, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 111
მაისის 25, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულის გამო შემდეგი №-რი გამოვა ოთხშაბათს, 28 მაისს.

კნ. მელანია ივანეს ასული ჩოლოყაშვილისა თვისის შვილებითა და რძლით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 31 მაისს სოფ. ყარაბულახში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

თ. ნიკოლოზ თადიას ძის ჩოლოყაშვილისა—ყარაბულახელისა

და ნახევარ წლის წირვა მისის შვილის-შვილის

კნიაჟნა ნინო თადეოზის ასულისა

და სთხოვს მობრძანდნენ სოფ. ყარაბულახს. (2—1)

სამშაბათს, 27 მაისს, ქვაშვეთის წმ. გიორგი ეკკლესიაში გარდახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **თავადის**

ბიძინა ოთარის ძის ჩოლოყაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—126—1)

დღეს, 25 მაისს, ბანკის ბაღში და თავად-აზნაურობის თეატრში, ქართველთა შორის წ.-კით. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

ბაზრობა დაიწყობა შუადღის 12 საათიდგან. ბაღში დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა.

ბაღში იქნება: საბავშვო გასართობი, ბედის ქვევრი, ფოსტა, სიურპრიზები.

შვიდი საათიდან დაუკრავს საზანდარი. თეატრის ფოიეში:

ცეკვა.

ბაღში შესასვლელი ბილეთი **20** კ. (ბავშვებისათვის **10** კაპ.).

კავკასიის ნატურალური კონიაკი

დ. ზ. სარაჯიშვილისა

ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—19)

ჟირარდის მანუფაქტურების საქც. საზ. საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მრავლად მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის:

საქალო მატერიები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუანტინი, მერველიე, ბროშე, ბროდე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოჟა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პარუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

საფარდეგო ტილო და ტიკი ფარდებისა და მარკიზებისათვის

საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი

ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.

დონნერი და ლეიტცი.

(100—58)

რედაქციისაგან

ვისაც გაზეთის ფასი სრულად არ შემოუტანია, ვთხოვთ დაიჩქარონ ხვედრის ფულის შემოტანა, თორემ ივნისიდან გაზეთის გაგზავნა მოესპობათ. (5—2)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

საქალებო ინსტიტუტში

შიფრით კურს-დასრულებულს ქალს ჰსურს წაიყვანოს მოსამზადებლად ბავშვი თავის ოჯახში საავარაკოდ. ადრესი: „ივერიის“ რედაქცია. (4—2)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია

საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1902 წ. მოქმედებისა.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიური ანგირიშის შესახებ.
3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1903 წლისათვის.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და კანდიდატისა.
5) არჩევანები საზოგადოების ახალის წევრებისა.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის მუსხელაშვილისა

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

გ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათი. 5—6.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 617

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისი

✦ დღეს, 25 მაისს, მის იმპერატორების უდიდებულესობის, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადებას დღესასწაულობს მთელი რუსეთი. ტფილისის სიონის ტაძარში მწირველი ბრძანდება მისი მეუფება საქართველოს ექსარხოსი ალექსი, რომელიც წირვის შემდეგ პარაკლისს გადაიხდის. წირვასა და პარაკლისს გენერლობა უნდა დაესწროს.

✦ დღეს, 25 მაისს, თავად-აზნაურობის ბაღსა და თეატრის დარბაზში გაიმართება სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრით ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ. ბაზარი დაიწყება შუადღისას და გათავდება საღამოს 10 საათზე. საუცხოვოდ არის მორთული ამ შემთხვევისათვის აგებული კიოსკები და მათ შორის ბ-ნ ნიკოლაძის მიერ ქანდაკებით შემკული კიოსკი. ბაღში იქნება საბავშვო გასართობები, ბედის ქვევრი, ფოსტა, მკითხაობა, საჩუქრები და თეატრის ფოიეში—ცეკვა. გამოფენილია მრავალი სათამაშოები, ხელოვნური ნივთები და სავაჭრო საქონელი; იშოვება ტკბილეული, ხილეული და საგრილობელი სასმელები. ქუთაისიდან საგანგებოდ გამოუგზავნიათ ხილეულობის წყალი ბ-ნ ლაღიძისა. შუადღიდანვე ორი დასი დაუკრავს მუსიკას—სამხედრო და სიმებიანი; იქმნება აგრეთვე საზანდარიც. შესვლის ფასი ერთი აბაზია, ბავშვებისა—ორი შაური. ამ ბაზრის მოთავე, დიდად პატივცემული ოლგა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა კვლავინდებურად ისე მოაწყობს ამ სეირნობას, რომ ყოველი შემსვლელი კმაყოფილი და ნასიამოვნები იქნება. იმედია, ჩვენი საზოგადოება დიდის ყურადღებით მიეგებება ამ საქველ-მოქმედო სეირნობას.

✦ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას მალე იღონეთ რამე, რომ ქალაქს საკმაო და რიგიანი წყალი ჰქონდესო, და ეს საკითხი საჩქაროდ ქალაქის საბჭოს მოახსენეთო.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა-მეცადინეობა ამ თვის ბოლოს თავდება. სასულიერო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ და სემინარიაში გადასვლის მსურველთ ეგზამენი უნდა დაიჭირონ 28 მაისს. სემინარიის პირველ კლასში 50 ვაკანსიაა, თხოვნა-კი ჯერ 100 ყმაწვილს მიურთმევია.

✦ ოსმალეთის ქვეშევრდომი სომხები, რომლებიც ამ ჟამად ტფილისში სცხოვრობენ, როგორც „ცნობ. ფურც“ შეუტყვია, ამერიკაში აპირობენ გადასახლებას. ზაფხულის მოახლოვებისათანავე ყოველ-დღე პოლიცმეისტერთან ათ-ათი კაცი მიდის პასპორტის ასაღებად.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში სრულიად გათავდა სწავლა–მეცადინეობა და ეგზამენები. ბავშვები თავ-თავის სახლებში წავიდნენ, გარდა ორიოდე პანსიონერისა, რომელნიც ჯერ ვერ წასულან შინაურულ გარემოებათა გამო.

✦ გუშინწინ, 23 მაის, დანიშნული იყო წლიური კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, მაგრამ წევრთა მცირე რიცხვი გამოცხადდა და ამის გამო კრება არ შესდგა.

✦ 29 მაის კრება ექნება ქალაქის მოხარჯე საზოგადოებას.

✦ ის ყმაწვილი კაცები, რომლებიც საშუალო სასწავლებელს დაამთავრებენ და მაღალ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას მოისურვებენ, მოვალენი არიან, მოხარჯე საზოგადოებისაგან გამოირიცხონ და ამის მოწმობა უმაღლესის სასწავლებლის მართველთ წარუდგინონ. რადგანაც მოხარჯეობისაგან განთავისუფლება მხოლოთ კრების დადგენილებით შეიძლება, ხოლო მოხარჯეთა კრება იშვიათად ინიშნება და ამის გამო მოწმობა ყველას თავის დროს ვერ ეძლევა,—ტფილისის მოხარჯეთა გამგეობა სთხოვს აქაურ სასწავლებელთა უფროსებს, გამოუცხადოს იმ ყმაწვილ კაცთ, რომელნიც ამ წელს სწავლას ამთავრებენ, მალე მიჰმართონ მოხარჯეთა გამგეობას, რომ მოწმობა თავის დროს მიეცეთ.

✦ ქალაქის ამქრების უსტაბაშებს ეხლა თავ-თავის მწერალი ჰყავს. ამ მწერლებს ჯამაგირის მეტი არა შეუძლიანთ-რა. ამქრის საქმეები იმათის წყალობით უფრო ირევა. ამის გამო ამქრების უსტაბაშებმა მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს: საერთო მწერლები იყოლიონ და კარგი ჯამგირიც აძლიონ. თითო ამქარმა ყოველ წლივ რავდენიმე თუმანი რო გამოიღოს, დიდი თანხა შესდგება თურმე, სამას-ოთხას თუმანზედ მეტი, რომელიც სამს-ოთხს კარგს მწერალს ეყოფა.

პანსლავიზმი და ბოლგარია.

სან-სტეფანოს ხელ-შეკრულობით, რომელზედაც ძალა-უნებურად ხელი უნდა მოეწერა ომში დამარცხებულ ოსმალეთსა, ახლად დაარსებულ ბულგარიას უერთდებოდა აწინდელი მაკედონიაც, მისი მოსამზღვრე ქვეყანა. ბერლინის კონგრესზედ ევროპის დიდ სახელმწიფოებმა ეს ხელ-შეკრულობა შესცვალეს და სხვათა შორის ბოლგარიას მაკედონია ჩამოაცალეს და ისევ ოსმალეთს ჩაუგდეს ხელში. ასე გაცრუვდა წადილი მაკედონიისა და ბულგარიის შეერთებისა და, რაღა თქმა უნდა, ბულგარიასაც ძლიერ დასწყდა გული ამით, რადგან მაკედონიის მოშორებით იგი თითქმის განახევრდა.

ეს მოხდა ამ 25 წლის წინად. ახლა-კი, როდესაც გაღონიერებული ბულგარია ხანგრძლივ მომზადების შემდეგ, მაკედონიის შეძენის საქმეს შეუდგა ასეთ თუ ისეთ გზით და მზადაა დიდად სახიფათო ომიც აუტეხოს ოსმალეთს, რუსეთი წინ ეღობება და გადაჭრით თხოულობს status-quo-ს დაცვას ბალკანეთში, ესე იგი ოსმალეთის საზღვრების შეუცვლელობას.

25 წლის წინად რუსეთი თავის ძალით უერთებდა მაკედონიას ბულგარიასა, ახლა-კი, როდესაც თვით ბულგარიაა მოწადინებული თავისავე ძალით შეიძინოს ეს ქვეყანა, რუსეთი ოსმალეთის საზღვრების შეუცვლელობას ჰფიქრობს... 25 წელიწადი მაინც-და-მაინც დიდი დრო არაა და შეუძლებელია რომელმამე სახელმწიფომ თავისი გულის ნადები და აზრი შესცვალოს ამ მოკლე ხანში ასეთ დიდ საქმის შესახებ, როგორიცაა ბალკანეთის ერთა ბედ-იღბალი, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეში ერთი უდიდესი ადგილი უკავია; და ეს იმას მოასწავებს რომ რუსეთის განდგომა მაკედონიის საქმეში გამოწვეულ უნდა იყოს ბულგარიით, ბულგარიის მიზეზით; რუსეთის აზრი-კი ბულგარიაზე და მასთან ერთად მაკედონიაზედაც ისევ ისაა, რაც ამ 25 წლის წინად იყო; მხოლოდ ბულგარიას შეუცვლია თავისი აზრი რუსეთზე და სხვა-გვარ პოლიტიკურ მოსაზრებას დასდგომია.

რა გვარია ეს რუსეთის აზრი ბულგარიაზე და კერძოდ მაკედონიაზე? რუსეთმა ომი აუტეხა ოსმალეთს ბოლგარიის დასახსნელად იმიტომ რომ, ბულგარები, როგორც რუსები, სლავიანებია; მაშასადამე რუსეთი „სლავიანურ იდეით“ იყო გამოსული ბრძოლის ველზედ;აქ

პანსლავიზმი იყო წამოყენებული რუსეთის მიერ ბულგარიის წინ და საქმის ისტორიულმა მსვლელობამ ისეთ ყოფაში ჩააგდო ბულგარია, რომ ან უნდა შეეწყნარებინა ეს პანსლავიზმი და შველა მიეღო რუსეთისაგან, ან არა და მთლად ამოწყვეტილიყო ოსმალთ მახვილით.

რა არის ეს პანსლავიზმი, რომელსაც რუსეთი ჰმოძღვრობს? Россійская имперія თვის ისტორიულ ზრდაში Славянское государство-დ უნდა გარდაიქცეს, რომელშიც მოჰყვება გერმანიისა და ავსტრიის სლავიანური ქვეყნები და აგრეთვე ბალკანეთის სლავიანობა,—სერბები, ჩერნოგორები, ბულგარელები, და ეს აზრი რომელისამე რუს-პოლიტიკოსის კაბინეტში მოგონილი-კი არაა, არამედ მთელ რუსეთის ისტორიის წარმოშობილია.

რამდენიმე გუბერნია შუა-გულ რუსეთისა ველიკოროსებითაა დასახლებული; ერთ დროს ეს გუბერნიები მოსკოვის სამეფო იყო და მან დროთა სვლაში სხვა სლავიანების ქვეყნები დაიპყრა,—მალოროსია, პოლონიის ერთი ნაწილი,—და ასე გაძლიერებულმა უცხო ტომის ქვეყნების შეძენას მიჰყო ხელი; დაიპყრა ციმბირი, ფინლანდია, ყირიმი, კავკასია და სხვ.

ამგვარად, მოსკოვის სამეფო რუსეთის იმპერიად გარდაიქცა. ახლა-კი დანარჩენ სლავიანთ (გერმანიაში და ავსტრიაში მოყოლებულ და ბალკანეთში არსებულ) ქვეყნების შეძენით და შემოერთებულ ერთა გარუსებით სლავიანურ სახლმწიფოს დაარსება სწადიან.

რა საძირკველზე უნდა დამყარდეს ეს უზარმაზარი სახელმწიფო, პოლიტიკური შენობა? Самодержавіе-ზედ, თვით-მპყრობელობაზედ, მონარქიაზედ. მთელი ისტორია რუსეთისა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ, რაც უფრო ძლიერია მთავრობა, რაც უფრო მოკლებულია თვით საზოგადოება და მისი სხვა-და-სხვა წოდება თვით-მმართველობას, მით უფრო ძლიერია მთელი რუსეთი, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი. კარამზინის Исторія государства россійскаго მხოლოდ ამას ამტკიცებს; ეს დედა აზრი მათის ისტორიისა კარგადაა დასკვნილი, სხვათა შორის, იმავ ავტორის ცნობილ წერილში О древней и новой Россіи, რომელიც მან ალექსანდრე პირველს წარუდგინა.

რუსეთის ინტელიგენციას შეუძლიან, მანამ ახალგაზდაა, ბევრი ილიბერალოს, ვაჟკაცურად ჩაჰკიდოს ხელი მშრომელ და დაბეჩავებულ უმრავლესობას, ხოლო ამ ინტელიგენციის პატიოსან მისწრაფებას არას დროს არა ჰქონია მკვიდრი ნიადაგი. ამ ახირებულ ოპტიმისტების გარდა, შეგნებული და მიხვედრილი რუსობა, რომელიც ერის დროებითის გაჭირების გამო არ ივიწყებს მთელ სახელმწიფოს ინტერესებს და მის ისტორიულ მსვლელობას, იმ აზრისაა, რომ რუსეთი და самодержавіе ერთი და იგივეა, ერთი უმეოროდ ვერ გასძლებსო, და უარჰყოფს რუსეთის ერის კულტურულ და სოციალურ შემოქმედ ძალას. ამავ აზრისაა რუსეთზე მთელი ევროპაც; ამავ აზრისაა ამ საგანზედ ფინლიანდიის, პოლონიის, ესტონიის ინტელიგენციაც; ამიტომაცაა რომ ისინი რუს ინტელიგენციასთან საერთო საქმის დაჭერას ერიდებიან და ცალ-ცალკედ მოქმედობენ.

სლავიანთა სახელმწიფო,—ასეთია პანსლავიზმის ნატვრა; самодержавіе,—ესაა მისი საძირკველი; და რადგან აქ უარყოფილია თვით ერის კულტურული და სოციალური ძალა შემოქმედებისა, ამიტომ ეს სახელმწიფო არ უნდა იყოს და ვერც იქნება ამ გვარ ძალაზე აშენებული.

ეს პანსლავიზმი ეწერა რუსეთის დროშას, როცა ბრძოლის ველად გამოვიდა ბალკანეთის სლავიანთა საშველად, და ბულგარიასაც ძალა-უნებურად უნდა მიეღო ეს შემწეობა და მასთან ერთად შეეწყნარებინა პანსლავიზმიც, ესე იგი რუსეთთან შეერთების გზას უნდა დასდგომოდა; მოქცეულიყო ისე, როგორც ჩვენს დროში კრიტი ნატრობს საბერძნეთთან შეერთებას *). მაგრამ შემდეგში ბულგარიამ უღალატა პანსლავიზმს და, მის ნაცვლად, რომ რუსეთის გუბერნიად გამხდარიყო, ცალკე და თავისუფალი ცხოვრება არჩია; შეჰქმნა თავისი კონსტიტუციური წეს-წყობილება და გაევროპიელების გზას დაადგა. რუსეთი მაინც იმედს არა ჰკარგავდა, რომ, ადრე თუ გვიან, მისი საქმე გაიმარჯვებდა, თუ ხერხიანად მოიქცეოდა, და ამ 25 წლის განმავლობაში მამობრივ ზედ-გავლენით ჰმოქმედობდა ამ თვის უმადურ და გაყრილ შვილზედ და ასე იგებდა მის გულს. თვით ბულგარიაშიც მოწინავე საზოგადოება ორ მთავარ დასად დანაწილდა, რუსეთის მომხრედ და მის მოწინააღმდეგეთ, ეს 25 წელიწადი ამ ორ დასის ბრძოლაში გავიდა; ბრძოლაში დიდ მონაწილეობას იღებდა რუსეთის მძლავრი ხელი თვის კონსულებისა და პოლიტიკურ აგენტების მუაკაცობით. მაგრამ რუსეთის მოწინააღმდეგე დასი, რომელსაც ერთს დროს სტამბულოვი მეთაურობდა, უფრო ძლიერი იყო და თითქმის ყოველთვის სჭარბობდა რუსეთის მომხრე დასს *) და რუსეთის პოლიტიკას ბულგარიის შესახებ ამცირებდა მთელ ბულგარიის თვალში. იმავ დროს ბულგარიაში შემუშავდა საგარეო პოლიტიკური პროგრამა, დიდ ბულგარიის დაარსება; აღმოსავლეთი რუმელია შეიძინა სისხლის დაუღვრელად და ახლა მაკედონიის შეძენის საქმეს შედგა, რომ შემდეგში სტამბოლის აღება გაუადვილდეს და ოსმალეთი მცირე აზიაში განაძეოს.

გამწვავდა მაკედონიის საქმე, გაძლიერდა იქაურ ბულგართ აჯანყება და მათი აკლება ოსმალთაგან. ბულგარია მზათაა ომი აუტეხოს ოსმალეთს (450 ათასი ჯარი შეუძლიან გამოიყვანოს საბრძოლველად); ოსმალეთიც ამრავლებს თვის მხედრობას მაკედონიაში და საომრად ემზადება; ბულგართ რევოლიუციონერებმა ანარქისტების საშუალების ხმარება დაიწყეს, სალონიკი ომს თხოულობს, როგორც ერთად-ერთ საშუალებას წესიერების აღსადგენად; სალონიკს სტამბოლი მოჰყვება. სტამბოლს—ოსმალთ მხედრობა. ყველა კარგად ჰგრძნობს, რომ თუ ომი მოხდა, დამარცხდება ბულგარია და ძლიერაც დაშავდება ოსმალთა და ალბანელთაგან. ეს ბულგარიამაც კარგად იცის; მაშ რის იმედი აქვს, რომ არ დაიღუპოს? კრიტის საქმე და ბერძენ-ოსმალთ ომი თვალწინაა, მაშასადამე, ბულგარიის აზრით საქმე, თუ ცუდად წავიდა, მაინც ასე უნდა დატრიალდეს: გამოცხადდება ომი, რამდენსამე ბრძოლაში ბურგარების ჯარი დამარცხდება; ოსმალები ბულგარიაში შევლენ, ჩერქეზები და ალბანელები ბულგართ სოფლების აკლებას დაიწყებენ. სერბია და ჩერნოგორია ბოლგარიას მიეშველება; ძველ სერბიის დაჭერას ავსტრია მოინდომებს. ამ დროს რუსეთი ჩაერევა საქმეში და ოსმალეთს მოსთხოვს ბრძოლის შეჩერებას, რათა, თუ გინდ ჰააგის დიპლომატთა მედიატორობით, ან სადმე მოწვეულ კონფერენციით, გადასწყდეს მაკედონიის საქმე, გადასწყდეს ისე, როგორც კრიტის საქმე ბერძენ-ოსმალთ ომის შემდეგ,—ესე იგი ავტონომიურ სამთავროდ: დაარსდეს ევროპის სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშ; ავტონომიური სამთავრო-კი ერთს დროს თავის-თავად შეუერთდება ბოლგარიას, როგორც ახლა კრიტს სწადია საბერძნეთთან შეერთება.

ასე ჰფიქრობდა ბულგარია შარშან და, მაკედონიის არეულობას რომ ამზადებდა ჩუმად, იმედი ჰქონდა, მომავალ ომში რუსეთი დაიხსნიდა განსაცდელისაგან და ასე მაკედონიასაც დაუახლოვებდა. ამ საქმეში უნდა გამოაშკარავებულიყო საქვეყნოდ რუსეთის პოლიტიკა ბულგარიის შესახებ, აქ უნდა გაეგო ერთხელ და სამუდამოდ, რა აქვს გულში რუსეთს მისდამი და რამდენად გულწრფელი იყო მისი მამობრივი მფარველობა ამ 25 წლის განმავლობაში. ყველამ უწყის, რა გამოუცხადა რუსეთმა ამ გაჭირვების დროს ბულგარიასა: „ერთ წვეთ სისხლსაც არ დავანთხევ შენთვის რაც უნდა დიდი გაჭირებაც დაგადგესო“. მაგრამ ბოლგარიას ეს მაინც არა სჯეროდა ამ უკანასკნელ დრომდე და რუსეთის იმედი მაინცა ჰქონდა. მთავარი ფერდინანდი პარიჟს წავიდა და დიდხანს ემასლაათა პრეზიდენტს და დელკასეს. რაზე ჰქონდათ ლაპარაკი? ეჭვი არაა, საფრანგეთს, რომელიც მზადაა გაჭირვებაში მიეშველოს ბულგარიას, შუაკაცობას სთხოვდა ბოლგარიის მთავარი—რუსეთთან მომარიგე და დაიყოლიე, რომ გაჭირკებაში ბულგარია დაიხსნათო. ისიც უეჭვო უნდა იყოს, რომ საფრანგეთმა ვერა გააწყო-რა, ვერ დაიყოლია რუსეთი და ფერდინანდს გამოუცხადა: საფრანგეთიც ურუსეთოდ ერთ წვეთ სისხლსაც არ დაანთხევს თქვენთვისაო. რომ ყოველივე ეს ასე უნდა მომხდარიყო, ნათლად სჩანს იქიდამაც, რომ ფერდინანდის დაბრუნებისათანავე წინანდელი კოალიციური სამინისტრო დათხოვნილ იქმნა და ძველ სტამბულოვის დასს, რუსეთის მოწინააღმდეგეს, დაეთმო მართვა-გამგეობა; ენაც სხვა ამოიდგა ამ ახალმა კაბინეტმა ამ ორ-სამ დღეში და მორიგებას აპირობს ოსმალეთთან. ან რად უნდა მიეშველოს რუსეთი ბულგარიას, რომელმაც პანსლავიზმი უარჰყო და „დიდ ბულგარიის“ შექმნა მოიწადინა? რუსეთისათვის საჭირო არაა „დიდი ბულგარიის“ არსებობა ბალკანეთში; მისთვის საჭიროა პატარა ბულგარია, პატარა სერბია, პატარა ჩერნოგორია, სულ პატარა და დაბალი ღობე, რომლის იქითაც სტამბოლია.

მაგრამ საფრანგეთს რაღა დაემართა, რომ არა ჰპირდება ბულგარიას გაჭირვებაში უშველოს? განა ეს ის საფრანგეთი არაა, რომელიც კაცობრიობის ავანგარდი იყო და ამდენი სისხლი დაღვარა ამ 12 საუკუნის განმავლობაში სიმართლისა და ადამიანთ ცხოვრების გასაუმჯობესობლად? განა ეს ის საფრანგეთი არაა, რომელსაც დიდებულ ამაგისათვის მთელმა ქვეყანამ უწოდა le soldat de Dieu! ღვთის სალდათი ისევ ისაა, ისევ დიდებული საფრანგეთია, მხოლოდ რუსეთის მოკავშირე, ამიტომ რაც რუსეთს უნდა, იმას ასრულებს; რუსეთს უნდა ოსმალეთის საზღვრები შეუცვლელი იყოს და, აი საფრანგეთიც ამას სცდილობს; რუსეთი ოსმალეთის დამცველია და საფრანგეთიც იმას მფარველობს ჰანოტოს მინისტრობიდამ მოყოლებული აქამდე, ასე რომ ეს soldat de Dieu ოსმალეთის სალდათი გამხდარა, le soldat du Sultan...

ა. კვერ—ძე.

---

*) პანჰელენიზმი უფრო ბუნებრივი ყოფილა, ვიდრე პანსლავიზმი, ალბად იმიტომ, რომ პირველს გათვალისწინებული აქვს ერთის მოდგმის, (რასის) და ერთის ერის ხალხი, მეორეს-კი ერთის მოდგმის, მაგრამ რამდენსამე ერად გადასხვაფერებული ხალხი.

*) პეტკო კარაველოვის მიმდევარს, რომელსაც რუსეთში მიეღო განათლება და ერთს დროს ცნობილ სლავიანოფილის აქსაკოვის მეგობარი იყო.

ჩვენებური ამბები

რიონ-გაღმის კუთხე. მესამე კვირა გავიდა, რაც ჩვენსკენ საკმაოდ წვიმა არ უთფილა. ამის გამო დადგა გვალვა, რომელიც ხელს უშლის უმისოდაც გვიან დათესილ ყანებს.

აქეთ ჯერ ყველგან ყანები სანახევროდ დაუთესელია; კარგი იქნება, თუ ამ თვის დამლევამდე მოთავდა თესვა.

მომავალში, როგორც ვატყობთ, სიმინდი ძვირი იქნება; მარმასხდელი სიმინდი წელს ბლომად გადის გასასყიდად და არავინ ფიქრობს მომავლისათვის.

ძველი ვენახები ბევრგან ისევ გამობრუნდა; წელს სამაგალითოდ ასხია და მოსავლის იმედს იძლევა, თუ არ წახდა.

ახალ ვენახებმაც ძლიერ იხეირა და ბევრმაც მოჰკიდა ხელი მის გაშენებას.

აბრეშუმობა წელს აქეთ ნაკლებად არის, რადგან თესლის სიძვირისა გამო ბევრი დარჩა უთესლოდ.

ტყემალს და ალუჩას ბლომად ასხია; დაბა-ქალაქებიდგან კიდევაც გამოჩნდნენ მყიდველები და აძლევენ ფუთ ალუჩაში ექვს-შვიდ შაურს.

წასულ კვირაში სოფელ მ—ში ერთი საყურადღებო ამბავი მოხდა: აქაურმა მღვდელმა მიათხოვა თავისი ქალიშვილი ქუთაისში მცხოვრებ სასულიერო წოდების კაცს, რომელსაც მზითვის სივთების რიცხვში გადასცა ვექილობით წიგნაკი ქუთაისის ხაზინის ფულის სცავისა, სადაც ინახებოდა 500 მანეთი.

დაქორწინების მეორე დღეს, შუადღისას ეს წიგნი დაჰკარგოდა სიძის ძმას იქვე ჭისკარს გადაღმა ქუჩაზედ; ეძებეს ბევრი, მაგრამ ვერ იპოვეს.

იმავე საღამოს მღვდელმა გასწია ქუთაისში, მიირბინა მეორე დილას ხაზინაში და განაცხადა ეს ამბავი.

თურმე იმავე დილას, მღვდელზედ უფრო ადრე მისულა ვიღაც უცნობი ხაზინაში, წარუდგენია ამ მღვდლის წიგნი ვექილობით და განუცხადებია, მე ვარ ეს კაცი, რომელიც ვექილობაში ვსწერივარო და მოუთხოვია ფული. ხაზინადარი და მოანგარიშე ჯერ კიდევ არ მოსულიყვნენ ხაზინაში, არამედ ენახა ერთი მოხელეთაგანი, რომელსაც ეთქვა მისთვის, რომ შენ დაგჭირდება ეპისკოპოზისა, ანუ კეთილმოწესე მღვდლისაგან მოწმობა იმისი, რომ შენ ნამდვილი სასულიერო წოდების კაცი ხარო.

არ გასულა ნახევარი საათი ამის შემდეგ, მღვდელიც მისულა ხაზინაში და მიუცია განცხადება. მერე-კი გაიგეს, რაში იყო საქმე, მაგრამ ბოროტგანმზრახველმა თავს უშველა და აწ აღარც მივა, რადგანაც იცის გლახა დღე დაადგება.

დიდის სიფრთხილით მოქცეულა ეს მოხელე, თორემ ადვილად შეიძლებოდა აეღო ფული ამ უცხოს, რადგან ვექილობაც იქვე ჰქონდა.

როგორც ამბობენ, ეს კაცი იქვე მღვდლის მახლობელი მეზობელი უნდა იყოს, რომელმაც თურმე კარგად იცოდა ამ საქმის გარემოება.

ძლიერ გახარებული და ქუდ მოგლეჯილი გაქცეულა მაშინვე ქუთაისში, მაგრამ დახე უიღბლობას, ვეღარ დასტკბა სხვის ნაოფლარით!

ვლადო ბზვანელი.

—

ს. სვირი. (იმერეთი) სვირს ამ ჟამად აწუხებს ორ ნაირი საქონლის ჭირი: ბუნებრივი და ხელოვნური; ორივემ ერთსა და იმავე დროს იჩინა თავი, ახალ გამოზაფხულზე. პირველი, როგორც ამას წინად ექიმმა შეამოწმა, არის ეგრეთ წოდებული „Сибирская язва“, ჩვენ კი ამას „აპრილას“ ვუძახით, რადგანაც ეს ჭირი უჩნდება საქონელს ახალ გამოზაფხულზე, უმეტეს ნაწილად აპრილში, რაიცა, როგორც სოფლელები არკვევენ, მუხის ფოთლის ჭამის მედეგია. მართალია, ამ რამდენისამე კვირის წინად საქონლის ექიმი მოვიდა, გასინჯა რამდენიმე ავადმყოფი საქონელი, მიიღო შესაფერისი ღონისძიება, მაგრამ საქმეს ამითი ბევრი არაფერი ეშველებია: ექიმი წავიდა და ავადმყოფობა ისევ ისე მძვინვარებს. დღემდის არის ამითი მკვდარი 25 სულადი.

„აპრილასთან“ ერთად დაიწყეს ქურდებმაც თავისი მოღვაწეობა: გაზაფხულდა თუ არა, საქონელი, გრძელ და სასტიკ ზამთრისაგან შეწუხებული, საბალახოზე გარეკეს; აქ დღე ერთია და ქურდობა ორი; ჯერ ჯერობით 18-მდე სული საქონელი დაიკარგა. ბოლოს, როგორც იყო, ორი ქურდი ხუთმეტ მაისს დაიჭირეს, ორივე ბაღდათის ბოქაულს წარუდგინეს, ამათგან ერთი განთავისუფლდა, რადგანაც ქურდობის დამამტკიცებელი საბუთები არ აღმოუჩნდა, მეორე-კი დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს იმის სა-

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

VIII

ფელეტონი

1. ჩიტას აღსარება

ჩიტამ სთქვა: ჩემი ორთავე რაში
არა ჰგავს სხვისა დაბლა ჯაგლაგებს,
საცა-კი ნახავს მცირე საცუცნავს,
ველარ ვიმაგრებ, სულ მილაქლაქებს.
„სხვის თელილს გზაზედ“ გაინავარდებს,
დიდხანს არ ვიცით ბჭობა-ფიქრიო,
და მეც, მხედარი, თავმოწონებით
ბურუს მოცული სადღაც მივქრიო.
ბევრი ვაყვირე ბუკი-ნაღარა,
ყველას უკვირდა ჩემი ხელობა,
მთვლიდნენ დიდებულ კრიტიკოსადა...
მაგრამ რას მარგებს ეხლა მწერლობა?!
„ოქროს ბავშვსა“ ვზრდი, სხვის დამქაში ვარ,
სახელად, მგონი, ესეც მეყოფა.

—

2. ჟანგიას აღსარება.

მოწოდებით ვექილი ვარ,
ხელობად-კი მწერლობა მაქვს;
ჩემს ღრიტინა ტვინის წისქვილს
რასაც ვაყრი, ყველაფერს ჰფქვავს.
„ჯანაოზი ექიმივით“ (?)
მოვევლინე ქართულ ენას,
მწერლობისა „მუწუკები“
მუხლმოყრილნი მთხოვენ ლხენას...
ოფლს ვღვრი, ვაცხობ სტატიებსა
მეცნიერულ—კრიტიკულსა,
მით ახალ გზას მწერლობაში
ყამირსავით ვკვალავ ბრძნულსა.
თუმც იმ გზას ჯერ მეც ვერ ვხედავ,
გვმართებს ცოტა მოთმინება!..
ჩემ შრომათა მეცხრე ტომში
ნისლს გადვიყრი, გამოჩნდება.
ვინა ყრიან ლესინგ-ტენი,
მარქს-ენგელსი, ან ბრანდესი!..
ქვეყანა მე შემომყურებს,
რომ მივსცე მას რჯული, წესი...
ჩემებრ მართლაც სხვას ვის ესმის
ამ ცხოვრების ძალა, ჰანგი?..
სულ არა ვის!.. დიდებული
კრიტიკოსიც მე ვარ!.. ჟანგი!

ივ—ელი.

—

ნანახი და გაგონილი.

დედამიწის ზურგზედ არ მოიძებნება იმისთანა ახირებული ქალაქი, როგორიც ტფილისია. არა უკაცრავად, თვით ტფილისი-კი არა, მისი პატრონები. იგი სწორედ გულივერია და ზედ ასხედან კაცუნები, ლილიპუტები და სწოვენ სისხლსა. დიდ არის მოთმინება შენი ბ. ტფილის-ქალაქო, დიდ არის!!

აი, ამას რაზედ მოგახსენებთ: ტფილისში ყველა ამქარს თავისი უსტაბაში ჰყავს, რომელსაც ხალხი ირჩევს. უსტაბაში, ანუ ჩვენებურად ხელოსანთა თავი-კაცი, რასაკვირველია, უპირველს ყოვლისა უნდა ზრუნავდეს ხელოსანთა საჭიროებისათვის. თქვენ არ მომიკვდეთ! იგდებენ თუ არა ხელში უფლებას, მაშინვე თავის ჯიბეს მოუხსნიან პირსა და დაუწყებენ ხელოსანთა ნაწვავ-ნადაგით ავსებასა. თუ ჯიბე დიაკვნურ-მღვდლურია, შენი მტერი, კუდამდე ტყავი სძვრებათ ხელოსნებსა, ბევრჯელ კუდსაც თან გაადევნებენ ხოლმე, თორემ ტყავს ვინა სჩივის, თითქმის არც ერთი დაწესებულება არ არის ჩვენს კურთხეულ ქალაქში, რომელშიაც ამორჩევით ამწესებენ მოხელეებს, რომ არა ჰყვლეფავდეს თავის ამომრჩეველთა. მაგრამ კატა ყოველთვის ვერ ჩამოიღებს ხოლმე მაღლიდამ ძეხვსა: ხანდისხან მოასწრებენ და ცხვირს გაუგლიან ხოლმე.

აი, ბატონებო, ბრძანდებოდა ერთი ვინმე დიდებული მოყმე მხატვართა უსტაბაშად და გვარი მისი მიღილიანცია: იმსო ჯიბე და იმსო, და აკანტუნა აკანტუნა ხალხის ნაოფლარი; ღაბაბი გაისუქა, მუცელი გადმოიბრუნა, გახდა კაცი თითით საჩვენებელი.

არა ნაკლებ გასუქდა მეორე მოყმე, რომელიც მის დღეში არა მჯდარა „მომტირალი წყლისა პირსა“ და არც შავი მერანი სჭერია „სადავითა“. ეს მეორე იანცი გახლავთ არუთინიანცი, მეეტლეთა უსტაბაში.

მაგრამ ამათზე მეტად თურმე გასუქდა მესამე იანცი, ხოლო გვარი მისი ასე არს საცნაურ—ბაბაიანცი. იცით ვისი უსტაბაშია ეს ბაბაიანცი?—მეფურნეთა უსტაბაში.

უნდა მოგახსენოთ, გვარიც ზედ გამოჭრილია მეფურნეთა უსტაბაშობის აღსანიშნავად: სომხურისა ენასა ზედა რას ნიშნავს სიტყვა „ბაბაიანცი“ არ ძალმიძს აღსნად უცოდინარობისა გამო იმა ენისა, მაგრამ ქართულად ბაბა-კი ნიშნავს პურსა, და აი ეს ბაბა, გინა პური, მოხვედრილა შიგ ფქვილის ტომრებში და უგორავნია შიგ იქამდე, მინამ ძიელ გულს იჯერებდა, ასე რომ რაც ვირთაგვებს დაუკლიათ ფქვილის ტომრებისათვის, ბაბას დაუსრულებია.

მაგრამ ცხოვრებამ ხანდისხან „აბრუნდიც“ იცის: უსტაბაშების ბრჭყალებით დაგაზულმა ხალხმა გამოიღვიძა, შეძრწუნდა, მოიკრიბა ძალა და მიჰყო ხელი დამჩაგვრელთა ალაგმვას: როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს, მიღილიანცი, არუთინიანცი, ბაბაიანცი და... არა, ჯერ ესენი კმარან... პასუხისგებაში მიუციათ; სთხოვენ თურმე სათანადო მთავრობასა ნაწილ-ნაწილ გადავიხდით ამქრების ვალსაო. ვაჟკაცობაც ამასა ჰქვიან, აი!!

—

ზღაპრად გამიგონია, რომ ერთს მღვდელს ზურგზედ საყდარი ეკიდა, სადაც მოისურვებდა, იქ დასდგამდა და სწირავდაო. შეხვდა ერთი დევ-გმირი, განთქმული მთელს ხმელეთზედ თავისი ვაჟკაცობით და ქველობით. შეჰხვდა ამ ხუცესს ის განთქმული ვაჟ-კაცი, გაუკვირდა და ჰკითხა: „მამაო, ღმერთმა შეძლება მოგცეს! როგორ ერევი მაგ საყდარსაო. ძაან ვაჟ-კაცი უნდა იყოვო!

— ეეჰ, მე რა ვარ, ვაჟკაცი აღმოსავლეთის მეფის შვილია, რომელსაც ათას-ფუთიანი მშვილდ-ისარი უპყრია ხელთა და მისი გასროლილი ისარი ქვეყანას არყევსო; გველეშაპთა სახსენებელი გააწყო ქვეყნიერებაზეო.

აი ეს ზღაპარი რად მოვიყვანე: ერთად რომ გადავადუღოთ მიღილიანც-არუთინიანც-ბაბაიანცები მაინც ვერ მოვლენ ნ. ალიხანოვთან. ეს ვაჟბატონი სწორედ იმ ზღაპრულს დევ-გმირსა ჰგავს, რომელსაც ხელში ათას-ფუთიანი მშვილდ-ისარი ეპყრა და სადაც მისგან გატყორცნილი ისარი დაერქობოდა ქვეყანას აზანზარებდა.

მთელი ქალაქი ტფილისი სიხარულით მიეგება ქალაქის ხორცის დუქნების გამართვასა; ეხლა-კი მთელი ქალაქი ტფილისი გულის ფანცქალით მოელის ამ დუქნების დახურვასა. არა, როდის ყოფილა ტფილისში 18 კ. ცხენის ხორცი, და 15 კ. ძროხის ხორცი, ქალაქის ყასბებს სწორედ სულის ცხონებად გაუხდათ საქალაქო საყასბოები. მცხოვრებლებს გვეგონა საქალაქო დუქნები მაზანდას დასწევსო, მაგრამ დაწევის მაგივრად ასწიეს.

ნეტავი, თქვენი სიცოცხლით, ხორცი ხორცს მაინცა ჰგავდეს; კუჭის საყასბოში რაღაც ლეშსა ჰყიდიან.

როდესაც ბ-ნ ნ. ალიხანოვს აქედ-იქიდამ მენიშვნები მისცეს, გაზეთებმა გაჰკრეს-გამოჰკრეს, მაშინ „სერჩაითობა“ დაიწყო.

— ვა, ზაჩიმ, ძმაოჯან —ვეტყვით ჩვენც— სერჩაიმ! თავრიზში ვირი კიბეზე გავიდაო, სთქვა ერთმა,—ეს ვირი და ეს კიბეო, აქაც გავიდესო. ვა, ვა, ზაჩიმ სერჩაიმ, ბ. ალიხანოვ! „კავკაზმა“ თუ თავრიზში ვირი კიბეზე გაიყვანა, თქვენ მოუყვანეთ „კავკაზს“ ვირიც და კიბეც და უთხარით: აბა აქაც გაიყვანოსო. ვა, დაუმტკიცეთ, რომ ის სტყუის, „სულუში“ რას გარბიხარ სახიფათოდ. მაგრამ გულში ჭირი მოიცხო და ყოჩაღობთ. მახლას და ქალაქმა „მახლას“... ვხედავთ, რომ ამ დუქნების მისუქანს მარტო-რკა ვერ გამოიყვანდეს.

გ—ი

ტფილისი.

— ტფილის ქალაქის ჭკამეურობას შეჰკითხვიან რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქები, გვაცნობეთო, როგორ სჯობია, რომ უკეთ მოაწყოთ ხორცის დუქნები, რა წესები უნდა დაიცვან. ქალაქის გამგეობას უპასუხნია: თავის არ მომიკვლევია, ამასამე მის არა გამეგებინებიაო. ეს ჩვენი ბახალა ჩხიკავს მაუკვდეთ, დიდი თავი გაქვს და ასე ამის ამიტომ გთხოვთ ნ. ალიხანოვს მიჰმართოთ.

— ტფილისის ქალაქის ტეხნიკოს ინჟინერებს ახლახან შეიტყვეს, რომ ავჭალის მილის წყალი მღვრიე ყოფილა, ამიტომ ხორის ფილტრები არ ივარგებენო. ჰა, განგალა, განგალა!!

ქმე. ხოლო მამა მთავარი ამ ქურდების აქაური მცხოვრები ი. ბ. ვერას გზით ვერ დაიჭირეს. ამ ვაჟბატონს, მოუნდომებია რა სხვისი, ხარჯით ლხინის გამართვა, მოუპარავს ერთი ძროხა და მოუყვანია სახლში 21-აპრილს. ქურდობის კვალი მალე მიაკვლიეს, შეინძრა მამასახლისი თავის მრავალი ხელ-ქვეითით, მაგრამ ვერაფერი ვერ გააწყეს: ქურდმა აიღო ხელში დამბაჩა და სახლში არავინ არ შეუშვა, ყველას სიკვდილს ემუქრებოდა; დაიბარეს ბაღდათიდგან „სტრაჟები". სანამ ისინი მოვიდოდნენ, ქურდმა გიორგობა—23 აპრილი—სახლოვანად გადიხადა, მოვიდა „სტრაჟი" და ის ტყეში მიიმალა; ქურდი ვერას გზით ვერ დაიჭირეს.

აქეთ ამინდი ჯერ ჯერობით ძლიერ კარგია, უფრო ღვინოს ხელს უწყობს; გარდა დღესასწაულებისა, რომელთა უმეტესმა ნაწილმა ისე ჩაიარა, რომ ერთი ხეირიანი დღე არ ყოფილა, რის გამო ვერ მოჭახლა ჩვეულებრივი სეირნობა დამთვრალთა, რაიცა ძლიერ სასიამოვნოა, რადგანაც თავიდგან აგვცილდა ბევრი ჩხუბი და სისხლის ღვრა, ურომლისოდაც ჩვენებური დღესასწაულის თემობა—სეირნობა ძნელად თუ ჩაივლის ხოლმე.

ხვნა-თესვას ძლიერ კარგი ამინდი უდგია და საცაა ამასაც მოვრჩებით. ვენახს მშვენიერი თვალი უჩანს, ცოტა სეტყვა გვაშინებს, რადგანაც ბუნება როგორღაც ჭინჭყლიანობს, მაგრამ სეტყვას, როგორც სვირელებს ჰქონიათ, ამას წინად ტყვილა უბრალოდ სამის დღის უქმობა აგვაცილებს, ეს დღეებია: მაისის პირველი—ორშაბათი, ეგრედ წოდებული „კოხინჯრობა", შვიდი მაისი და რვა მაისი. ადგილობრივმა მღვდელმა მამა ს. მჭედლიძემ ბევრი უქადაგა ხალხს, მაგ უქმობით არაფერი იქნებაო, ურჩია ამ დღეების მაგიერად უქმად რომელიმე დღე სამ დღესასწაულში: 2 ოქტომბერი—წმ. დავით და კონსტანტინესი, 14 იანვარი—წმ. ნინოსი და 1 თებერვალი წმ. ტრიფონის, რომელიც იყო ვენახის მფარველი, მაგრამ ხალხმა თავის თავზე გაამართლა ანდაზა: „მგელს სახარებას უკითხავდნენ და თიკან-კრავი მეო!" ისინი მაინც თავისას გაიძახიან: ჩვენ ძველებს უუქმიათ და ჩვენც უნდა ვიუქმოთო; რომ არ ვიუქმოთ, ღმერთი ვენახს დაგვისეტყავსო, თუმცა ბევრჯელ ყოფილა შემთხვევა, უუქმიათ და სეტყვას თავისი არ დაუშლია და ვენახები გაუნადგურებია.

თორნიკე

რუსეთი

ჟურნალ „Русская Мысль"-ის რედაქციაში მუდმივ თანამშრომლობას ივნისიდან დაიწყებს ანტონ ჩეხოვი.

— 22 მაისს შესრულდა 25 წელიწადი, რაც ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის წევრი მ. პ. კაშკაროვი საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობს.

10 ივნისს პეტერბურგში მოხდება რუსეთის წისქვილების მეპატრონეთა მე-VII კონგრესი.

— ტომსკში დიდი არეულობა მოუხდენიათ ტუსაღებს ციხეში, რომლის ჩასაქრობლად ჯარიც-კი მოუშველებიათ. 21 აპრილს ერთ ტუსაღს ონოფრე გონჩაროვს ნავთი დაუსხავს ტანზე და დაუწვავს თავის თავი.

— 16 მაისს, პეტერბურგში, როგორც ამბობენ, დიდი არეულობა მოუხდენიათ. ამბობენ, რომ სახალხო სახლს, რომელიც ალექსანდრე მეორის სახელობაზეა აშენებული და რომელსაც ნიკოლოოზ მეორემ ერთი მილიონი შესწირა, დასცემიან და ფანჯრები ჩაუმტვრევიათო.

— პეტერბურგის ქალაქის საბჭოში ჩრდილოეთის რკინის გზების კომისიამ შეიტანა წინადადება შრომის ბირჟის დაწესების შესახებ ქალაქის 200 წლის იუბილეის სახსოვრად. კომისიამ ამასთანავე ვრცელი მოხსენება წარმოუდგინა საბჭოს, რომელშიაც დაწვრილებით არის აწერილი, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ევროპაში და რუსეთში სამუშაოს საშოვარად შუამავლობის ორგანიზაცია.

უცხოეთი

ინგლისი. სანამ ოპოზიციის მეთაური შეეკითხებოდა სამინისტროს საფინანსო პოლიტიკის შესახებ, მთავრობამ საჭიროდ სცნო, დაესწრო მისთვის და წინდაწინვე შეჰხებოდა ამ საკითხს საზოგადოებათა პალატაში.

ლაპარაკი ჩამოაგდო რადიკალ დეპუტატმა ჩარლზ დილკმა და დამსწრეთ ყურადღება მიაქცია ახალშენთა მინისტრის უკანასკნელს სიტყვას, რომელმაც ამას წინად ინგლისსა და მის ახალშენთა საბაჟო ურთიერთობის პროექტი წარმოადგინა. დილკის აზრით, ამგვარი რეფორმა სრულიად წინააღმდეგი იქმნება პარლამენტის უმრავლესობის აზრისა და სახელმწიფოს ზნე-ჩვეულებისა; იგი ძირიანად შესცვლის საფინანსო პოლიტიკას და ამიტომ სახიფათოდ მიმაჩნიაო. ორატორს პასუხი გასცა პირველ მინისტრმა ბალფურმა, რომელმაც მოაგონა საზოგადოებას, რომ თვითმმართველ ახალშენთა პირველ მინისტრების უკანასკნელ კრებაზედ მოწონებულ იქმნა საბაჟო ურთიერთობის აზრიო; ამიტომ ახალშენთა მინისტრი იძულებული იყო აღეძრა საკითხი დიდ ბრიტანიის არსებულ საბაჟო პოლიტიკის შეცვლის შესახებაო. ესეც რომ არ იყოს, მაინც მეტად საყურადღეოდ მიგვაჩნია ინგლისის ფინანსიურ სისტემის გადასინჯვა. როდესაც გასულ საუკუნის მეორმოცე წლებში ინგლისი ფრიტ რედერობის პოლიტიკას დაადგა, იმედი ჰქონდა,—სხვა სახელმწიფოებიც მოგვბაძვენო, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა: ინგლისი აქამდე განმარტოვებულია. სხვა სახელმწიფოები თავის ნაწარმოებს თავისუფლად ასაღებენ ინგლისში, ხოლო ინგლისის ნაწარმოებისათვის უფრო და უფრო ჰხლუდავენ თავიანთ ბაზარსა საბაჟო გადასახადებით. თავის ინტერესების დასაცავად ინგლისმაც უნდა შესცვალოს ტარიფი. გარდა ამისა საფინანსო სისტემის შეცვლა იმიტომ განვიზრახეთ, რომ უფრო მკვიდრი ურთი-ერთობა დავამყაროთ სახელმწიფოსა და მის ახალშენთა შორის. ვიმედოვნებთ, რომ მუშათა დასიც დაგვყაბულდება ამ დიად აზრის განხორციელებას და ჯანაბამა იქნება შემოსაზიდ სანოვაგეზედაც ბაჟი დავადოთ, ჩემბერლენის აზრის უარმყოფელნი სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებენ, მაგრამ მაინც შესაძლოდ მიგვაჩნია მსჯელობა ვიქონიოთ ამ საგანზედ, იქნებ როგორმე შევთანხმდეთ ახალშენებთან და თავისუფალი ბაზარი დაუთმონ ინგლისის ნაწარმოებს. მჯერაო—განაცხადა ბალფურმა—რომ ახალშენთა მინისტრის სიტყვა ცხადად გაუთვალისწინებს მოსალოდნელ ეკონომიურ გაჭირვებას და ჩააფიქრებს საზოგადოებასა. ჩემსა და მის შორის ამ საკითხის შესახებ არავითარი უთანხმოება არაა, მაგრამ ჩემბერლენმა სრულიად განსაკუთრებული აზრიც რომ წარმოადგინოს, მაინც არა დაშავდება-რა, რადგან საბაჟო რეფორმა არც ამ სესსიაში იქმნება განხილული და არც მომავალში. ეს საქმე გადასწყდება განახლებულ პალატის მიერ მხოლოდ საზოგადო არჩევნების შემდეგაო". ბალფურის შემდეგ ილაპარაკა ზოგიერთმა კონსერვატორმა და ლიბერალმა დეპუტატმა და ყველამ ჩემბერლენის საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვა. მათ შორის ყველაზედ მეტი ყურადღება ლორდ ჰიუიგ სესილმა—მარკიზ სოლსბერის შვილმა—მიიპყრო. შემდეგ ამისა თვით ჩემბერლენი ავიდა ტრიბუნაზედ. „რა აზრით გვეკითხება ოპოზიცია? ან ის უნდა შეიტყოს, მეთანხმება პირველი მინისტრი, თუ არა? ამის პასუხი ხომ უკვე მიიღო. ჩემის მხრით უნდა ვსთქვა, რომ სრულიად თანახმა ვარ ბალფურის სიტყვისა, ჩვენს შორის არავითარი პრინციპიალური უთანხმოება არ არსებობს ფინანსიურ სისტემის ცვლილების თაობაზე." შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა,—მზადა ვარ, უფრო დაწვრილებით განვმარტო ეს საკითხი, როცა-კი ოპოზიციის მეთაური მის განმარტებას მოსთხოვს მთავრობას.—გარნა ამ ჟამად ტყუილად მოგვთხოვს ვინმე, რომ პალატას დამზადებული პროექტი წარვუდგინოთ საბაჟო რეფორმების თაობაზე. ჯერ ზედმიწევნით უნდა შევიმუშაოთ საგანი და შემდეგ მისი გარდაწყვეტა ხალხს მიენდოთ საზოგადო არჩევნების დროს. თუ ხალხი პრინციპიალურად მოიწონებს ჩვენს გეგმას, მაშინ მოვუწოდებთ ბრიტანიის ახალშენთა წარმომადგენელთ. დარწმუნებული ვარ, რომ მოვახერხებთ ახალშენთან შეთანხმებას. ინგლის შეუძლიან მხოლოდ ერთად-ერთი შეღავათი მისცეს ახალშენებს: გადასახადი დაადოს შემოსაზიდ სანოვაგეს. ეს გადასახადი კარგა ძალ შემოსავალს შეჰმატებს ხაზინას; სამი მეოთხედი ამ შემოსავლისა მუშა ხალხს დააწვება კისერზედ და ერთი მეოთხედიც შეძლებულ წოდებას. მთელი ეს თანხა სოციალურ რეფორმებს უნდა მოხმარდეს; უმთავრესად-კი მოხუცთა საპენსიო კასის დაარსებასაო.

სერბია. ბელგრადიდგან იუწყებიან, დოქტორ ვლადან გეორგიევიჩს, ყოფილ მინისტრ-პრეზიდენტს, დიდ მოწინააღმდეგეს ალექსანდრე მეფის და დრაგას შეუღლებისა, რომელიც სამშობლოდგან გაძევების შემდეგ ვენაში სცხოვრობს, როგორც ამბობენ, ვრცელი წერილი მიუწერია მეფისათვის. ამ წერილში ვლადან გეორგიევიჩი რჩევას აძლევს მეფეს,—გაეყარე დრაგას და პრინცესა ლიპპეზედ დაიწერე ჯვარიო. მეფეს მიუხმია ვუიჩი, პაშიჩი და სიმიჩი—რადიკალთა დასის მეთაურები, რათა მოჰლაპარაკებოდა დედოფალთან გაყრის შესახებ. ამ პოლიტიკურ მოღვაწეთ მეფისთვის ურჩევიათ, დედოფალს გაეყარე და ჩერნოგორიის მთავრინა ქსენია შეირთეთო.

ასეთი დამოყვრება ადვილად აღადგენდა სერბიასა და ჩერნოგორიას შორის კეთილ განწყობილობას და დიდად სასიამოვნოც იქნებოდა სერბთათვის, რომელნიც მუდამ თანაგრძნობით ეპყრობიან ჩერნოგორელებს.

ამბობენ, ვითომ მეფეს გადაეწყვიტოს, სანამ რაიმე გზას დაადგებოდეს, ჯერ ვენისა და პეტერბურგის მთავრობას შეეკითხოსო. ბელგრადში ჰგონებენ, მეფე ნატალია დედოფლის, რჩევას შეისმენს და სრულიად შესცვლის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას და ამ ახლო მომავალშივე შეუდგება რუსეთის მომხრე რადიკალთა კაბინეტის შედგენასაო.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. ორშაბათს, 26 მაისს, ჩვენის ნიჭიერის მსახიობ ქალის ნინო ჩხეიძის ასულის სასარგებლოდ, რომელიც ნერვების სისუსტითაა ავად და ექიმებმა ურჩიეს, ამ ზაფხულში უსათუოდ წავიდეს სადმე შესასვენებლად და საექიმოდ, ქალაქის თეატრში წარმოადგენენ „მედეა"-ს, რომელშიაც მედეას როლს თვითონ ავადმყოფი მსახიობი შეასრულებს. ასეთი წარმოდგენების გამართვა ქუთათურ მსახიობთ სხვა ქალაქებშიაც სურთ, რომ ცოტა რამ შეაგროვონ და საექიმოდ გაგზავნიან ძვირფასი ამხანაგი.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი გულუხვი საზოგადოება, რომელიც არა ერთხელ დამტკბარა ნ. ჩხეიძის ნიჭიერ თამაშით, წარმოდგენებს არ დააკლდება და მით თავისს საყვარელ მსახიობს შეძლებას მისცემს მალე განკურნებული დაუბრუნდეს ქართულ სცენას, რომლის დამამშვიდებლადაც ითვლება. წარმოდგენებში ქ-ნი ჩხეიძის ასულიც მიიღებს მონაწილეობას.

დავა.

ნარკვევი

„Право"-ში ვ. მ. გესსენი მსჯელობს ადგილობრივი რეფორმის შესახებ და საზოგადოდ ახასიათებს რუსეთში გამეფებულ ბიუროკრატიზს.

რუსეთის ყველა რეფორმებში, ავტორის აზრით, ნათლად სჩანს რწმენა, რომ ბიუროკრატიზმი, „ჩინოვნიკური" წეს-წყობილება —სასწაულებრივი, ყოვლად შემძლებელი მანქანაა ხალხის ცხოვრებაში. „ჩინოვნიკმა" ყველაფერი იცის, ყველაფერი შეუძლიან. შემამულე აზნაურიშვილი, თუმც დედამიწის წარმომადგენელია, არც მეურნედ ვარგა, არც ადმინისტრატორად, სანამ საერობო უფროსად არ დაინიშნება აზნაური, საერობო უფროსი კი, „სამაგალითო ადმინისტრატორიაო, სამაგალითო მეურნე და განათლებული მსაჯული და ხალხის კეთილდღეობაზედ მზრუნველი, ყველა ეს იმიტომ არის, რომ იგი მთავრობისაგან დანიშნული კაცია, და არა ხალხისაგან არჩეული.

ადგილობრივი მმართველობის ყველა დარგი ავდება, ერობას თუ მოაშორეთ იგი და ადმინისტრაციას დაუმორჩილეთ.

ეს გადაჭარბებული რწმენა და ბიუროკრატიული სიბრძნისა და ყოვლად-შემძლეობის შემკობა—თვალთა ხედვის მრუდედ დაყენებული ისრის შედეგია, ერთგვარი ოპტიკური ილიუზიაა: ლამაზ ჩუქურთმით შემკული „ჩინოვნიკობის" ჩარჩოში უბრალო ქვა რომ ჩასვათ, ჩინიანი ჩარჩო ამ ქვასაც გაუზიარებს ხოლმე თავისს ელვარებას.

გამეფებული რწმენა, რომ ბიუროკრატიული სიბრძნე ყოვლად შემძლებელია, ამ ბოლო დროს ირყევა, ეჭვის თვალით დაუწყეს მას ცქერა. ხალხი სულ უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ბიუროკრატია ცხოვრებას მოსწყდა, ცხოვრების გარეშე მოქმედებს; მას ორგანიულად არ შესწევს იმდენი ძალ-ღონე, რომ რეფორმების განხორციელება შეიძლოს. ბიუროკრატიზმის კანცელიარია—ქაღალდების წარმოების მანქანაა. რეფორმა—ისეთი ყვავილია, რომელსაც სჭირია ბევრი სინათლე, ჰაერი და სითბო; იგი ვერ აღმოცენდება ბიუროკრატიზმის კანცელიარიის სიბნელეში და დახუთულ ჰაერში.

ხალხის ცხოვრება დაუსრულებელი ზღვა არის, და ბიუროკრატიზმის ერთი ნაფოტა—ნავი ამ ზღვაში ვერაფერს გააწყობს.

—

გაზ. „Гражданинъ"-ის რედაქტორს თავ. მეშჩერსკის ზოგჯერ უცაბედად სამართლიანი აზრები წამოსცდება ხოლმე. აი, როგორ მსჯელობს იგი 16 მაისს გადახდილ ქ. პეტერბურგის იუბილეის შესახებ:

პეტრე დიდი ყურადღებით რომ დაჰფიქრებოდა ხალხის შინაგან ვითარებას, ღრმად რომ გამოეკვლია ხალხის ცხოვრება, იგი არ შეალევდა თავის ძალ-ღონეს რუსეთის ცხოვრების ზედა-პირის გაევროპიელებას, რუსეთის მწვერვალთა მოვარაყებას, არამედ ეცდებოდა თვით ხალხში გაეღვიძებია ძილით შეპყრობილი ცხოვრების ძალნი. რუსეთის შინაგანი ცხოვრება დღეს რიურიკის დროის სურათს წარმოადგენს. პეტრე დიდმა თავისი ძალ-ღონე შეალია ქ. პეტერბურგს და სცდილობდა ამ გზით, ძალით შეეჩვიებინა რუსეთი ევროპიელ სახელმწიფოთა კომპანიაში. თუ ამ 2 საუკუნის განმავლობაში ქ. პეტერბურგი ბრწყინავდა, ეს ბრწყინვალება რუსეთის ხალხისათვის საზარელი იყო. ხალხის ძალ-ღონით იკვებებოდა, და რაც უფრო მეტად ძლიერდებოდა ქ. პეტერბურგის ბრწყინვალება, მით უფრო ბნელად ჩანდა მთელი დანარჩენი რუსეთი, პეტერბურგი თან და თან უახლოვდებოდა ევროპას და შორდებოდა რუსეთს.

პეტერბურგმა ევროპის გავლენის ქვეშ შექმნა ეს ვეება ბიუროკრატიზმი, ჩინოვნიკური წესწყობილება, ცენტრალიზაცია, იმ რწმენაზე

ჩვენებური ამბები.

ლეხურის ხეობა (ქართლი). ლეხურის ხეობის მცხოვრებთ ს. ქვემო ჭალაში ჰქონდათ ყრილობა ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანის თაობაზედ. თავად-აზნაურობა კერძოობამ გაიტაცა და 5000 მ. აო გადასდო ამ საჭიროებისათვისო. მოდი, კოვილოთ ჩვენ ხარჯები, სამიკიტნოებში ნუღარ დავხარჯავთ, საზანდარს დარდიმანდულად ნუ გადვუგდებთ „პოლუმპრიალებსა", ყველამ ჩვენი წვლილი გამოვიტანოთ და ამ სასიკეთო საქმეს-კი ნუ მივაძინებთო, სთქვა გულ მტკივნეულად ღარიბ-ღატაკმა ლეხურის ხეობის თავად აზნაურობამ. მაშინ წარმოსდგა თავისის ქველობით ქებული მემამულე და სთქვა: სირცხვილი ჩვენ თავად-აზნაურობას, რომ ის მცირედი ფული არ გადასდო, აი მე ჩემი ჯიბიდან ვიღებ იმ 5000 მ. რომელიც გ. ჟურულის პროექტით მოუნდება გზის მიმართულების გამოკვლევასაო. მხოლოდ იმ პირობით კი, რომ გზამ გაიაროს კასპიდამ სამთავისამდე, აქედამ ტირიფონას სოფლების შუა ჩაყაროს, გაიდეს სობისებსა და ბერშუეთ-კირბალ შუა, გაიაროს მეჯვრისხევში, დაეკრას მერე გვერდის ძიროობს და შიგ ცხინვალში ამოჰყოს თავიო. ეს აზრი დიდად პატივცემული მემამულისა ყველამ მოიწონა და დიდი მადლი გადაუხადა მას უხვი შემოწირულებისათვის. აი ღმერთმა ჰქმნას ასრულებულიყოს ეს ამბავი, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას ცხადად დავანახოთ ამ გზის სიკეთე.

ბ—ი.

—

კახეთი (წვრილ-წვრილი ამბები).

უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ სულზედ მოგვასწრო ეს რაღაც მორტირებია, თუ ჯანაბა და დოზანა! დიდი მნიშვნელობა ჰქონია, გაისკრი თუ არა, მაშინვე დაიშლება ღრუბელი და სეტყვის მაგივრად წვიმას წამოუშვებს ხოლმე. მაგრამ უფრო ძალუმი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც სეტყვა მოვა და ყველაფერს გაანადგურებს ხოლმე. აი, მაგალითად იმ დღეს რუისპირში, რაც სეტყვა მოდიოდა, მორტირები დაკეტილი იყო, გადიღო თუ არა სეტყვამ, იწყეს სროლა, ბატონო ჩემო, და აი იწყეს, რომ ქვეყანამ ზიხზარი დაიწყო, მაგრამ ღრუბელ-სისლნი გაიფანტნენ, გამოჩნდა მოზურმუხტებული ცა ბრწყინვალე მზით და ხალხს დარდები გადუყარა.

ვეჯინ-გურჯაანში ერთმა მიკიტანმა თავის დუქანში საკვირაო სკოლა გახსნა, ხალისით დაიარებიან დიდი თუ პატარა; კორესპონდენტები-კი მუდამ უჩივიან კახელებს, რომ სწავლაზე გულაცრუებულნი არიანო. მედუქნე უკითხავს ლექციებს ძარცვა-გლეჯაზე, ქურდობა-ავაზაკობაზე და კაცის მკვლელობაზედ.

გორი. უბედურს ვარსკვლავზეა დაბადებული ეს ჩვენი ქალაქი გორი. „გორო, ქართლის მეთაუროვო", სთქვა ერთხელ პოეტმა გორზე, მაგრამ ეხლა რომ ნახოს, აზრს გამოიცვლიდა. ვერაფერმა ვერ უშველა გორსა: ვერც რკინის გზამ, ვერც პოლკების დაბინავებამ, რაღაც ეშმაკი უშლის ხელსა. აი, ეხლა საოსტატო სემინარია თურმე გადააქვთ გორიდან, მოგვწყინდა ლაფში ტოპვა, გვსურს ადგილი ვიცვალოთო. ჩავარდა საგონებელში ქალაქის გამგეობა. ქალაქის „სტაროსტას" ჯავრისაგან თავი დაუკარგავს, ისე შეწუხებულა. საბრალო სტაროსტა წამდაწამ წაივლებს თურმე თავზედ ხელსა, ჰგონია, თავი აღარ მაბიაო; თავი-კი აბია საბრალოს, მაგრამ რადგან მას თავის დავთრები დაებნა, ვეღარას ფიქრობს და თავის თავს უთავობას სწამებს. ხშირად შეხვდება ხოლმე ადამიანს ამ ნაირი წამები. მაგრამ ბოლოს დაწყნარებულა როგორც სტაროსტა, ისე მისი ხმოსნები და სემინარიის ნაცვლად განიზრახეს დააარსონ „მელოტოეთა კლუბი". სახლის ასაშენებელი ხარჯი ქალაქმა იკისრა. ჰო, მართლა ამ სახლში ლოტოს გარდა, ბაკარასა, მაკაოსა, ვერტუშკასა და კონჩინასაც ითამაშებენ, ქაღალდის მოთამაშეები ტფილისიდამაც ივლიან. დიდს შემოსავალს მოელის ქალაქის გამგეობა.

გ—ი.

—

შეცდომის გასწორება: „შურდულის მე-VII-ე ნომერში დეპეშათა განყოფილებაში შეგვეპარა შემდეგი შეცდომა: დაბეჭდილია: ქუთაისი. დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის მომწერთა მეათე გამოცემა ცნობილ ქარიანის შესანიშნავ თხზულებისა უნდა იკითხებოდეს ასე: „ცნობილ ქვარიანის თხზულებისა". ბოდიშს იხდის „შურდულის" რედაქცია მკითხველებთან და ბ-ნ ქვარიანთან ამისთანა კორექტურულ შეცდომისათვის.

—

ნარევ-ნაკვეს-გასართობი.

—

„ივერიის" რედაქციაში. ერთი თანამშრომელი ეკითხება მეორესა:

— როგორ უნდა გადითარგმნოს რუსული სადღეგრძელო: „Пью бокалъ до дна"—ვსვამ ძირამდის, თუ ვსცლი ჭიქას ძირამდისო.

— სიტყვა „ძირამდის" სულ უადგილოა: ქართველი რომ სადღეგრძელოს სვამს, დარწმუნებული უნდა იყო, ძირსაც უჩვენებს.

—

ჩქარა სათქმელი

(სამეგრელოში გაგონილი).

შენი ქინძ-კამ-პიტნა-ტრახუნა შენ თუ ვექინძ-კამ-პიტნა-გეტრახუნება, თორემ მე სულაც არ მექინძ-კამ-პიტნა-მეტრახუნება.

თქვენი თხაი ქაგრეხილი—ჩვენსა თხასა ქაგრეხილსა რას ებრძოდა, რას ერჩოდა, რას ექაგრეხილებოდა.

—

დეპეშები.

(შურდულის დეპეშათა სააგენტო)

23 მაისი.

ბათომი. „ჩერნომორსკი ვესტნიკის" სულის ჩამდგმელს პალმს ავი სენი შეეყარა—ყია აუყროლდა. ექიმებმა დიდის ბჭობა-თათბირის შემდეგ გამოარკვიეს,—ეს სენი თან-დაყოლილია, და რომ იმ თავითვე რიგიანი პატრონი ჰყოლოდა, შეიძლებოდა, თუ სრულიად განკურნება არა, ავადმყოფობის შეჩერება მაინცაო. სუვორინი და გრინგმუტი, რომელნიც აქამდე სწამლობდნენ, თურმე თვითვე ყოფილან ყიის სიმყრალით შეპყრობილნი და მიტომ ვერ მიჰხვდნენ მის ავადმყოფობას—სიმყრალის სუნს ვერა გრძნობდნენ. სენი ისე გაუძნელდა, რომ ახლოს მიკარებასაც ვერავინ ახერხებს, ეშინიანთ,—შეგვეყრებაო. ბათუმელები დიდად დააღონა გენიოს პუბლიცისტის ასეთმა მდგომარეობამ—ნეტავ შავი ჭირი-კი შეჰყროდა, ოღონდ ეს უხიაგი სენი არ დაჰმართნოდაო.

ქუთაისი. ჯანაოზ ექიმმა ქიქინაძემ საგანგებო დეპეშა მიიღო ბათომიდგან,—მოგვეშველეთ, პალმი უიმედოდ არისო. ჯანაოზმა მარჯვენა ხელის სალოკი თითი შუბლზე მიიდო, მარცხენისა—ზურგზე, ახსენა მარქსი და განემზადა წასასვლელად, მაგრამ გაახსენეს,—თქვენს სუსტ ორგანიზმს ადვილად გადაედება ის სენიო და ამიტომ აღარ წავიდა.

მუშტაიდი. დღეს თორმეტ საათზე გაიმართება დოღი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ კონკის ცხენები, ჩვენი ქალაქის ხმოსნები და მოხისური კამბეჩები. დიდ-ძალი მაყურებელი იყრის თავსა. მცოდნე კაცები ამბობენ,—ისევ კამბეჩები გაუსწრებენ ყველასაო ტოტელიზატორი მარჯვედ მუშაობს.

ბანდეგილი (მთაწმინდა). აუარებელ მოაგარაკეთ მოიყარეს თავი და კიდევ მეტს მოელიან, თუ „ფუნიკულერის„ რიხინ-რიხინმა არ დააფრთხო ხალხი. სწორედ ყურთასმენა აღარაა ამ შეჩვენებულისაგან.

—

განცხადებანი

„შურდულის" რედაქციისაგან: „შურდულის" რედაქცია სთხოვს ყველა ქართველ კორესპონდენტებს, აგრეთვე პოეტ-ბელეტრისტებს თავისი ნაწარმოები უწილადონ „შურდულსაც".

—

ამ კვირის სწორზე ვეტცელის თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა ვლ. ალექსი-მესხიშვილის სახელით ჩემს საკუთარ ჯიბის სასარგებლოდ. ამავე მიზნით ჩემს ევას შაბათს „ვეჩერი" აქვს.

გამგე სცენის მოყვარე არტისტი გიჟუაშვილი. (3—უ—1)

—

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფუძნებული, რომ რუსეთში არ მოიძებნება ჭკვიანი და პატიოსანი კაცები და პეტერბურგმა უნდა გაუწიოს მზრუნველობა მთელ რუსეთსაო.

—

„ცნობის ფურცელს“ ზემო-ქართლიდგან სწერენ:

ყველაფრით დაჩაგრულია ზემო-ქართლელი გლეხი, როგორც სიღარიბით, ისე გაუნათლებლობით. ძვირად შეჰხვდებით იმისთანა გლეხს, რომ ან წერა-კითხვა იცოდეს და ან რუსული ენისა გაეგებოდეს რამე. მიუხედავად ამისა, ერთმა აქაურმა მღვდელმა მოსპო ეკლესიაში ქართულად წირვა-ლოცვა და დაიწყო რუსულად. გლეხებმა, რომ რუსულის ენისა ვერა გაიგესრა, დაუწყეს ხვეწნა, ისევ ქართულ ენაზედ სწირე და ილოცეთ, რომ გავიგოთო, მაგრამ იმათი თხოვნა შეუსრულებელი დარჩა, რადგან, როგორც თითონ უპასუხა მრევლს, ქართული ენა შესძულებია.

წერილი
რედაქციის მიმართ.

რადგანაც ჩვენ მიერ დ. ხონში გამართულ ორ წარმოდგენების გამო, 11 და 13 აპრილს, ათასი საზიზღარი ჭორები იქმნა შეთხზული ზოგიერთ პირებისაგან, რომ ეს ჭორები გავფანტოთ და სიმართლე აღვადგინოთ აქვე ვაცხადებთ დაწვრილებითი ანგარიშს: პირველ წარმოდგენაზე შემოვიდა 118 მ. 55 კ., მეორე წარმოდგენაზე—33 მ. 55 კაპ., სულ შემოვიდა 152 მ. 10 კაპ.. ხარჯი: თეატრის შენობის პატრონს—28 მ., პარიკმახერს—14 მ., ტანისამოსი—6 მ. აფიშები, ბილეთები და პროგრამები 12 მ., მგზავრობა მოთამაშეების ქუთაისიდგან და უკან—15 მ, 40 კ., მეზურნეებს—15 მ., მათი მგზავრობ. 3 მ., მარკები—16 მ., წვრილი ხარჯები 9 მ. 3 კ.' ორ მოთამაშეს გასამრჯელო—16 მ., ზოგიერთ მოთამაშეების სამი დღით ხონში ცხოვრება—7 65 კ., სულ ხარჯები შედგა 142 მ. 8 კ., დარჩა წმინდა 10 მ. 2 კაპ., რომელიც ყველა მოთამაშეების თანხმობით გადავეცით ხონის საკვირაო სკოლას.

მიშა ქუთათელაძე.

დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 მაისი.

მინსკი. „სევეროზაპადნი კრაი“-ს ატყობინებენ, რომ სამიწად-მოქმედო გამოფენა მაგილევში 1905 წლისთვის გადაიდო. 1903 წელს გაიმართება გამოფენა დვინსკში, 1904 წელს—ბელოსტოკში, 1905 წელს-კი მაგილევში.

სტამბოლი. ნანჩევიჩმა გააგებინა თავის პროგრამა ზინოვიევს. სანამ ბულგარია ცდილობს ოსმალეთთან დამოკიდებულება განაახლოს, მისსიას იმედი აქვს მხარს დაუჭერენ სხვა სახელმწიფოები, მაგრამ თუ ისეთი რამ მოითხოვა, რაც მაკედონიას შეეხება, ნურავისგან დახმარებას ნუ ელისო.

სოფია. მაკედონელები ემზადებიან დიდი მიტინგის, ყრილობის მოსახდენად, რათა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს მშვიდობიანი მცხოვრებლების სასტიკად დევნას ევროპის ვილაეთებში. უმაღლეს წრეებში ხმა დადის, რომ ნანჩევიჩი 23 მაისს ოფიციალურად წარუდგება ხონთქარსა

პრეტორია. ტრანსვაალის ახალშენის გუბერნატორმა გაანთავისუფლა რამდენიმე ბური, რომლებიც უკანასკნელ ომის დროს დაპატიმრებულ იქმნენ.

სტამბოლი. ნანჩევიჩი კარგა ხანს ებაასა ბულგარიის ეგზარხოსს, რომელიც თანაუგრძნობს ნანჩევიჩის პროგრამას.

მადრიდი. სილველი ატყობინებს მეფეს, რომ ამბოხება მაროკკოში სრულიად ჩამქრალიაო.

პარიჟი. სენატმა 217 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 33 მიიღო კანონ-პროექტი ორწლიანი სამხედრო სამსახურის შემოღების შესახებ.—პარლამენტის კრებები 21 ივნისს დასრულდება.

24 მაისს.

მოსკოვი. საფრანგეთის დელეგატები მიდიან 23 მაის პეტერბურგს ჩქარის მატარებლით.

ხარკოვი. გადაცვალებულმა ბეითილმა ლუგოვსკიმ უანდერძა ხარკოვის უნივერსიტეტის გაჭირებულთა სტუდენტთა შემწეობის საზოგადოებას 70,000 მანეთი სახელობაზედ სამის სტიპენდიის დასაარსებლად.

სტამოლი. სალონიკისა, ადრიანოპოლისა და განსაკუთრებით მონასტირის ვილაეტში და სერესის სანჯაყში თითქმის ნახევარი ბოლგართა სკოლებისა დაჰკეტეს. როგორც სჩანს ერთნაირ წერილობითაა მოხსენებათაგან, ზემოხსენებულ პროვინციებში თავი იჩინა გაჭირვებამ, რადგან შესწყდა წესიერი მუშაობა და გამრჯელობა. საშიშია, რომ უარესად არ გამწვავდეს გაჭირვება და შიმშილი არ ჩამოვარდეს. ბევრგან უხნავ-უთესნი დარჩნენ და საქონელიც გაუწყდათ. სამშობლოში დაბრუნებულნი ბულგარელნი ხელოსანნიც გაჭირვებაში ჩაცვივიან.

მოსკოვი. საფრანგეთიდან მოსულმაა სშუმრებმა 23 მაის პირჯვარი დაიწერეს მაცხოვრის ტაძარში, დაათვალიერეს ისტორიული მუზეი, ტრეტიაკოვსკის გალერეია და სახლი რომანოვებისა.

პეტერბურგი. უმაღლესად დათხოვნილ იქმნენ თავიანთ ეპარქიებში წასასვლელად ტავრიზის ყოვლად უსამღვდელოესი ნიკოლოზი და ვლადივასტოკისა—ვლადიმირი. პეტერბურგს მიწვეულ იქმნენ სინოდის კრებაზედ მონაწილეობის მისაღებად ყოვლად-უსამღვდელოესნი მთავარ-ეპისკოპოზი ეგზარხოსი საქართველოსი ალექსი და ეპისკოპოზი პერმისა იოანე.

პეტერბურგის ბირჟა, 23 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	45,12$^1/_2$
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
ბირჟის დისკონტი	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	98$^3/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100$^7/_8$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სააღგ. მამულო ბანკისა	95$^5/_8$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	430$^1/_2$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	330$^1/_2$ მყიდ.
გირ %ფავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სააღგ.-მამ. ბანკისა	283$^1/_2$ წ3, გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. სააღგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	91$^3/_4$ გაყ.
4$^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სააღგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	179 გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/$_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/$_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/$_8$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/$_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

ზორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

31 მაისისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. მამედ ეფენდი მეავანაძისა და იაკობ ბარსკის საქმე.
2. იოსებ ზაუტაშვილისა და დიმიტრი ტლაშაძის საქმე.
3. თ-დ მიხეილ ჩოლოყაევისა და ვლადიმერ ჟუკოვსკის საქმე.
4. საქულ ქირუმოვის, სვიმონ ღლიღვაშვილისა და ილია ოტაშვილის საქმე.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 1903 წლის 28 მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამგეობის თანადასწრებით დანიშნულია **მეორე საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც იჯარით გაიცემა ნავთის საწყობისათვის ქალაქის კუთვნილი მიწა ნათლუხის სადგურის მახლობლად.

მსურველთ შეუძლიანთ საქმის პირობების შეტყობა, გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველნი მოვალენი არიან ვაჭრობის დღეს წარმოადგინონ გირაოთ 300 მ განცხადება მსურველთ შეუძლიანთ წარმოადგინონ დაბეჭდილ კონვერტში, საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე. (2—6—2)

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიგობეს, ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჟიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—20)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

იძლევა ქირით

სახლები

ზემო სართულში 4 ოთახი სამზარეულოთი, საკუჭნაოთი და 3 ბალკონით. შუა სართულში 3 ოთახი რკინის ბალკონით, სამზარეულოთი და საკუჭნაოთი, კიდევ შუა სართულში 4 ოთახი—სამზარეულოთი. ყველა ოთახები ახლად შეკეთებულია შეიძლება ცალკცალკეც გაქირავდეს. ადრესი 8 ნაწ. არსენალის ქუჩა № 14 იკითხეთ სახლის პატრონი. (5—124—4)

GRAND PRIX PARIS 1900

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Рояль-Ралле“

ყველას უნდა ედგას სამუშაო სტოლზედ გაღვიძებული გაზის ლამპარი

„სასწაული“

დიდი სინათლე აქვს—50—300 სინათისა.

მზესავით ანათებს (ანთია უშუშოდ).

სინათლის თვისებით ელექტრონს სჯობია.

ყოვლად უშიშარია.

მოვლა სულ უბრალოთ უნდა.

ხარჯი საათში 1 კაპიკზედ მეტი არ მოუნდება.

— ფასი 8 მანეთი. —

ისყიდება კ. ბოზილოვთან, ტფილისი, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ გვერდით. (3—2)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

ლედი ჯენ

ჯემსონის მოთხრობა სურათებით

სააღდგომო საჩუქრით

ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 ,,
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით	6 ,,
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა)	5 ,,
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა	5 ,,
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკისა	5 ,,
დათუნა გოცირიძე / **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,
აბრამის და იობის ლექსი	3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ქოსატყუილა / **ბიჭია მენახირე** / **მეფე და სკვინჩა** ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსენდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფასი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად. ☛

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზამზარეული წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ. (100—27)

Дозволено цензурою Тифлисъ, 24 мая 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი